



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“23” ივლისი “2018 წელი

N 41/36 ეგზ:1

“**პაპიძე**”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგამოძიებო სამსახური

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის

სარჩევი

ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ	3
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
1.1 უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	4
1.2.1 შემოსავლები და ხარჯები	4
1.2.2 სტრატეგიული მარაგები	5
1.2.3 ძირითადი აქტივები.....	5
1.2.4 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	6
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	7
2.1 შრომის ანაზღაურება	7
2.1.1 გეგმით და ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლები	7
2.1.2 დანამატი.....	7
2.2 ინვენტარიზაცია.....	8
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	9
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).....	11
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	12
ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება.....	13
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	15
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება.....	16
საგამოძიებო სამსახურის განმარტებითი შენიშვნები.....	17

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელობას

1.1 უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საგამოძიებო სამსახურის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად არ ასახავს საგამოძიებო სამსახურის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას, დასრულებულს აღნიშნული პერიოდისთვის, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 შემოსავლები და ხარჯები

ფინანსთა სამინისტროს დებულების შესაბამისად, სამინისტროს აპარატი ახორციელებს საგამოძიებო სამსახურისათვის გარკვეული ხარჯების გაწევას, რაც საგამოძიებო სამსახურის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში (ფორმა N2) არ აისახება. ფინანსთა სამინისტროს აპარატის მიერ საგამოძიებო სამსახურისათვის გაწეულია 3,120,355 ლარის „საქონელი და მომსახურების“ და 253,870 ლარის ოდენობით „სხვა ხარჯების“ კატეგორიებიდან. ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საგამოძიებო სამსახურის განმარტებით შენიშვნებში.

საგამოძიებო სამსახურის განმარტებით, ფინანსთა სამინისტროს აპარატის მიერ, საგამოძიებო სამსახურისათვის გაწეული ხარჯები ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლი 81. „შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან“ მიხედვით განიხილება, როგორც ნატურალური ფორმით გაწეულ მომსახურებებად. ინსტრუქციის 81-ე მუხლის 69-ე პუნქტის მიხედვით ერთეულს შეუძლია, მაგრამ არ მოეთხოვება აღნიშნული შემოსავალი და შესაბამისად ხარჯი ასახოს თავის ფინანსურ ანგარიშგებაში.

"ნატურალური ფორმით გაწეულ მომსახურებებად" შეიძლება დაკლასიფიცირდეს ისეთი სახის მომსახურებები, რომელთა თანხების საიმედო შეფასება შეუძლებელია, ან მოითხოვს დიდ რესურსს, ინსტრუქციის 81-ე მუხლის 71-ე პუნქტის მიხედვით ასეთ მომსახურებებად კლასიფიცირდება შემდეგი სახის მომსახურებები:

- ⌋ სხვა სახელმწიფო ორგანოების ან საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ტექნიკური დახმარება;
- ⌋ სამართალდარღვევისათვის ნასამართლევ პირების მიერ საჯარო სექტორის ამა თუ იმ ერთეულისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულება;
- ⌋ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი საავადმყოფოების მიერ ასეთი სახის მომსახურების მიღება მოხალისეთა მხრიდან;

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-მდე.

- საჯარო სკოლების მიერ მიღებული ნებაყოფლობითი მომსახურება მშობლების ან როგორც საბჭოს წევრების მხრიდან, როგორც მასწავლებლების დახმარება;
- ადგილობრივმა თვითმმართველობების მიერ მიღებული ნებაყოფლობითი მომსახურება მოხალისეთა მხრიდან.

ვინაიდან, აღნიშნული ზემოთ მოყვანილ არცერთ მაგალითს არ ემთხვევა, ასევე შესაძლებელია თანხების საიმედოდ შეფასება და საგამოძიებო სამსახურის ხარჯების ძირითად ნაწილს გასწევს ფინანსთა სამინისტროს აპარატი, აღნიშნული ხარჯებით უნდა გაზრდილიყო საგამოძიებო სამსახურის „ფორმა N2-ში“ „გრანტების“ და შესაბამისი ხარჯების ანგარიშები.

საგამოძიებო სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში „საქონელი და მომსახურების“ შესაბამის ანგარიშზე ხარჯად აღიარებულია 1,399,824 ლარის „ოფისის“ და 28,612 ლარის „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენასთან დაკავშირებული“ ხარჯები, რომელიც რეალურად წარმოადგენს ბუღალტრულად წინა წლებში ექსპლუატაციაში გადაცემული მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების 2017 წელს ხარჯად აღიარების ოპერაციას, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან². აღნიშნული თანხებით, 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ნაცვლად მიმდინარე ხარჯების ანგარიშის ზრდისა უნდა შემცირებულიყო კაპიტალის შესაბამის ანგარიშზე საწყისი ნაშთი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფორმა N1-ში „წმინდა ღირებულების“ ანგარიში 1,428,436 ლარით, „სხვა მატერიალური მარაგების“ ანგარიში 800,448 ლარით და „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ 627,988 ლარით ზედმეტობით არის ნაჩვენები, ხოლო ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში (ფორმა N2) მიღებული „გრანტების“ ანგარიში 3,374,225 ლარით, „საქონელი და მომსახურების ხარჯის“ შესაბამისი ანგარიში 1,691,919 ლარით და „სხვა ხარჯების“ ანგარიში 253,870 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

1.2.2 სტრატეგიული მარაგები

ბუღალტრულ ჩანაწერებსა და 2017 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის უწყისშიც რაოდენობრივად ფიქსირდება 361,506 ერთეული სტრატეგიული მარაგის ფაქტობრივი ნაშთი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის თანხობრივად აღრიცხული.

შედეგად ვერ მივიღეთ რწმუნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 187,844 ლარის ოდენობის სტრატეგიული მარაგების ნაშთის სისრულეზე, სისწორეზე, შეფასებაზე და განაწილებაზე.

1.2.3 ძირითადი აქტივები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საგამოძიებო სამსახურის ბალანსზე რიცხულ 1,464,440 ლარის ოდენობის ძირითად აქტივებზე („სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“) არ არის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები, ცვეთის ნორმები და შესაბამისად, არ არის დარიცხული ცვეთა. რაც შეუსაბამოა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებასთან³.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფორმა N1-ში 1,464,440 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების ნაშთის სისწორეზე, შეფასებაზე და განაწილებაზე.

² საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების მე-17 მუხლის პუნქტი 3^o და მე-14 მუხლის მე-11 პუნქტი

³ პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და მუხლი მე-2.

1.2.4 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

საგამოძიებო სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში „საქონელი და მომსახურების“ ანგარიშზე ხარჯად აღიარებულია სასამართლოში, საგამოძიებო სამსახურის მიერ, ნივთმტკიცებად წარდგენილი თანხა, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს⁴. ნაცვლად ხარჯად აღიარებისა, საგამოძიებო სამსახურს ნივთმტკიცებად ამოღებული თანხებით უნდა გაეზარდა „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიში. საგამოძიებო სამსახურმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასამართლოს მიერ ნივთმტკიცებად ამოღებული თანხის შესახებ. მხოლოდ 2017 წლის განმავლობაში, სასამართლოდან გასულ პერიოდებში ნივთმტკიცებად ამოღებული და საგამოძიებო სამსახურისთვის უკან დაბრუნებულმა თანხამ შეადგინა 135,065 ლარი.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე აღრიცხული 47,660 ლარის ნაშთის სისრულეზე და სისწორეზე.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს, დეტალურადაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისაგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

⁴ მუხლი 17 პირველი პუნქტის „36“ ქვეპუნქტი

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 შრომის ანაზღაურება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2017 წელს საგამოძიებო სამსახურში შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ ინფორმაცია:

დასახელება	დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა	ფაქტობრივად დასაქმებულთა რიცხოვნობა	დამტკიცებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	სხვაობა	%
	1	2	3	4	(3-4)	5
თანამშრომელთა რაოდენობა	660	542	-	-	-	-
თანამდებობრივი სარგო			8,700,400	7,490,020	1,210,380	51
დანამატი			3,805,000	4,418,684	(613,684)	30
მათ შორის: დანამატი წელთა ნამსახურობაზე			-	1,165,335	-	-
მათ შორის: დანამატი ხელფასზე			-	3,253,349	-	-
პრემია			1,620,000	2,189,797	(569,797)	15
კომპენსაცია			512,400	443,121	69,279	3
წოდებრივი სარგო			307,200	250,632	56,568	1
სულ:			14,945,000	14,792,254	152,746	100

2.1.1 გეგმით და ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლები

დაგეგმვის ეტაპზე საშტატო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად არ უნდა აჭარბებდეს წლის განმავლობაში ფაქტიურად დასაქმებულთა რაოდენობას, რადგან არასწორად დაგეგმვის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკის ათვისება ან გადაანაწილება მუხლს შიგნით, პრემიებისა და დანამატების გასაცემად, არ შეიძლება კარგ პრაქტიკად ჩაითვალოს.

2.1.2 დანამატი

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ კანონის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალური წოდებისათვის განაკვეთის, კვების ულუფის ფინანსური კომპენსაციის და ერთჯერადი ფულადი დახმარებების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 ნოემბრის N780 ბრძანების მიხედვით, განსაზღვრულია საგამოძიებო სამსახურში გასაცემი დანამატის შემდეგი სახე:

-) სპეციალური დანამატი წელთა ნამსახურობაზე
-) დანამატი ხელფასზე

2017 წელს მოქმედი რედაქციით, ფინანსთა მინისტრის N780 ბრძანებით არ მოითხოვებოდა ხელფასზე დანამატის გაცემის დასაბუთება. შესაბამისად, 2017 წელს 3,253,349 ლარის ოდენობის ხელფასზე დანამატი გაცემულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე. 2017 წელს დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებებში არ იყო სათანადოდ დასაბუთებული დანამატის გაცემის მიზანშეწონილობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წელს, ფინანსთა მინისტრის N780 ბრძანება ვერ უზრუნველყოფდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით⁵ განსაზღვრული ანაზღაურების ფორმის ანალოგიური პრაქტიკის დამკვიდრებას, როდესაც დანამატი გაიცემა მოსამსახურის მიერ ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის დასაბუთების შემთხვევაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 8 თებერვალს N780 ბრძანებაში შესული ცვლილებით⁶, აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა და განისაზღვრა დანამატის გაცემის კრიტერიუმები⁷ და გასაცემი თანხის ზედა ზღვარი.

2.2 ინვენტარიზაცია

ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალების შესწავლით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- J ინვენტარიზაციის ბრძანებით, პროცესის დასრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 დეკემბერი. ფაქტობრივი ნაშთების შემოწმების პროცედურები დასრულებულია 30 დეკემბერს, ხოლო ინვენტარიზაცია დამტკიცებულია 2018 წლის 11 მაისს.
- J არ არის ჩატარებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია⁸.
- J ძირითად საშუალებებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს, ამორტიზებულ ძირითად საშუალებებს და ექსპლუატაციაში მყოფ ხარჯებში ჩამოწერილ გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს ზოგიერთ შემთხვევაში არ აქვთ მითითებული საინვენტარო ნომერი⁹.
- J საინვენტარიზაციო აღწერებს არ ახლავს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები¹⁰;
- J 2017 წლის 31 დეკემბერს საცნობარო მუხლში, „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ აღრიცხულია ავტომანქანა VOLKSWAGEN VW HXO (საწყისი ისტორიული ღირებულება 8.2 ათასი ლარი), რომელიც 2005 წლის 26 მაისს სრულად განადგურდა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, რაც გამორიცხავდა მისი აღდგენის შესაძლებლობას, საგამოძიებო სამსახურს მატერიალურად პასუხისმგებელი პირისთვის დღემდე არ მოუთხოვია მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საგამოძიებო სამსახურში ჩატარებულმა ინვენტარიზაციამ, სრულად ვერ უზრუნველყო კანონმდებლობით გათვალისწინებული¹¹ მოთხოვნების შესრულება, რაც ორგანიზაციაში არსებულ კონტროლის სისუსტეებზე მიუთითებს.

⁵ მუხლი 37, პუნქტი 2

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 8 თებერვლის ბრძანება N52

⁷ თანამშრომლის მიერ განხორციელებული/ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ან/და საგამოძიებო მოქმედების შედეგად საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში განსაკუთრებული სირთულის ან/და მასშტაბის დანაშაულის ან/და კორუფციული გარიგების გამოვლენა, გამოძიება ან/და აღკვეთა

⁸, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მუხლი პირველი, პუნქტი მე-3.

⁹ ინსტრუქციის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰, „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N449-ის ფორმა N ინვ-1

¹¹ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცლაკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- 1) ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- 2) შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საგამოძიებო სამსახურის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა საგამოძიებო სამსახურის ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ საგამოძიებო სამსახურის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, საგამოძიებო სამსახური შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:


ხელმოწერა

სახელი, გვარი

გიორგი ჭოლოკავა
(აუდიტორი)

რუსუდან აბულაშვილი
(აუდიტორ-ასისტენტი)

გიორგი მურვანიძე
(აუდიტორ-ასისტენტი)



ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

დასახელება (ლარი)	31.12.2017	31.12.2016
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	-	-
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	47,660	47,660
სხვა მატერიალური მარაგები	194,027	1,005,547
სულ მოკლევადიანი აქტივები	241,687	1,053,207
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	187,844	194,906
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	31,651	663,940
ძირითადი აქტივები	39,242,606	42,234,745
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	1,944,856	1,944,856
საინვესტიციო ქონება	678,955	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	42,085,912	45,038,447
ბალანსი	42,327,599	46,091,654
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა		
კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	15,091	1,634
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და	15,091	1,634
კრედიტორული დავალიანებები		
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
და კრედიტორული დავალიანებები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	15,091	1,634
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	42,312,508	46,090,020
გაუნაწილებელი მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	42,312,508	46,090,020
ბალანსი	42,327,599	46,091,654

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება (ლარი)	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუ ჯეტო სახსრები	სულ	2016 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	17,587,012	-	17,587,012	17,933,406
შემოსავლები	1,617,111	-	1,617,111	2,482,951
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	1,607,291	-	1,607,291	2,482,951
სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	9,820	-	9,820	-
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	-	-	-
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-	-
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	9,820	-	9,820	-
სულ:	19,204,123	-	19,204,123	20,416,357
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	14,792,254	-	14,792,254	15,371,110
საქონელი და მომსახურება	4,347,476	-	4,347,476	2,999,139
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	2,544,623	-	2,544,623	2,748,650
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	223,188	-	223,188	67,571
სოციალური უზრუნველყოფა	58,999	-	58,999	70,031
სხვა ხარჯები	847,352	-	847,352	837,565
სულ :	22,813,892	-	22,813,892	22,094,066
ფინანსური შედეგი	(3,609,769)	-	(3,609,769)	(1,677,709)

ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(3,777,512)	-	-	(3,777,512)
კორექტირებები:¹	3,777,512	-	-	3,777,512
ცვეთა (+)	2,544,623	-	-	2,544,623
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(224,377)	-	-	(224,377)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	811,520	-	-	811,520
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	632,289	-	-	632,289
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	-	-	-	-
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	13,457	-	-	13,457
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან³	-	-	-	-
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	-	-	-	-

ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	-	-	-
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	-	-	-	-
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	-	-	-	-
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	-	-	-	-
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	46,090,020	-	46,090,020
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	-	-	-
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	46,090,020	-	46,090,020
არასაოპერაციო შემოსავლები	704,219	-	704,219
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	704,219	-	704,219
არასაოპერაციო ხარჯები	(862,142)	-	(862,142)
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(862,142)	-	(862,142)
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	(9,820)	-	(9,820)
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	(9,820)	-	(9,820)
მოგების გადასახადი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(3,609,769)	-	(3,609,769)
ნაშთი წლის ბოლოს	42,312,508	-	42,312,508

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დაზუსტებულ და დამტკიცებუ ლ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრივი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივი) ხარჯსა და დაზუსტებუ ლ გეგმასა შორის	დარიცხუ ლი ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივი) ხარჯს შორის
ხარჯები	18,555,000	18,015,000	3%	17,587,012	(2%)	22,813,892	5,226,880
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	14,945,000	14,945,000	0%	14,792,254	(1%)	14,792,254	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

საგამოძიებო სამსახურის განმარტებითი შენიშვნები

საგამოძიებო სამსახურის 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

წარმოგიდგენთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბუღალტრო ანგარიშს (ბალანსი) დამტკიცებული ფორმის (ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3, ფორმა N4, ფორმა N5) და დანართის (დანართები: N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13) ინფორმაციას, ასევე დებიტორ-კრედიტორების სიას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგამოძიებო სამსახურის ბიუჯეტის გეგმამ შეადგინა 18,555,000 ლარი, დაზუსტებულმა - 18,015,000 ლარი, ვალდებულებამ - 18,013,827 ლარი, საკასო ხარჯმა - 17,587,012 ლარი, დარიცხულმა ხარჯმა 22,813,892 ლარი. განვიხილოთ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

- „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დარიცხულმა ხარჯმა შეადგინა 14,792,253 ლარი, ასევე საკასო ხარჯმა - 14,792,253 ლარი.

- „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეულმა დარიცხულმა ხარჯმა შეადგინა 4,347,475 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 1,888,434 ლარი, კერძოდ:

„შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლის როგორც საკასო, ასევე დარიცხულმა ხარჯმა შეადგინა 128,444 ლარი.

„მივლინებების“ მუხლით საკასო ხარჯმა შეადგინა 60,029 ლარი, ხოლო დარიცხულმა - 60,249 ლარი, სხვაობა დარიცხულსა და საკასო ხარჯებს შორის, 220 ლარი წარმოადგენს 2017 წელს წარმოშობილ შიდა მივლინების დავალიანებას.

„ოფისის ხარჯების“ საკასო ხარჯმა შეადგინა 712,050 ლარი ხოლო დარიცხულმა - 2,358,585 ლარი, საიდანაც 725,260 ლარი წარმოადგენს „კომუნალურ და კავშირგაბმულობის კუთხით“ დარიცხულ ხარჯებს. სხვაობა (725,260-712,050) მათ შორის, 13,210 ლარი შეადგენს კომუნალური გადასახადებისგან შემდგარ 2017 წლის დავალიანებას. დარჩენილი 1,633,325 ლარის სხვაობა შედგება: 10,080 ლარი - ფულად დოკუმენტებზე (მონობარათებზე) გაწეული დარიცხული ხარჯის, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების 678,840 ლარის დარიცხვის და მატერიალური მარაგების - სულ 944,405 ლარის (764,399+180,006) დარიცხული ხარჯისგან, რომლის საკასო ხარჯი ძირითადად ფინანსთა სამინისტროს მხრიდანაა გაწეული.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ როგორც საკასო, ისე დარიცხული ხარჯი შეადგენს 953,295 ლარს.

„წარმომადგენლობითი ხარჯების“ საკასო ხარჯია 34,615 ლარი და დარიცხული - 33,252 ლარი.

„რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების“ დარიცხულმა ხარჯმა 28,612 ლარი შეადგინა, რაზედაც ფინანსთა სამინისტროდან გაწეულია საკასო ხარჯი.

„ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯებიდან“ 777,649 ლარის დარიცხვა, ასევე სამინისტროს მიერ გაწეული საკასო ხარჯიდან მოხდა.

„სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯების“ 7,388 ლარის ხარჯის დარიცხვის გაწევას ფინანსთა სამინისტროს საკასო ხარჯიდანაა.

„სხვა ხარჯის“ მუხლში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 847,325 ლარი, დარიცხულმა ხარჯმა, რომელიც ძირითადად შეეხებოდა პერსონალის დაზღვევას და დასუფთავების მოსაკრებელს, შეადგინა 847,352 ლარი, ხოლო სხვაობა ფაქტობრივსა და საკასო ხარჯს შორის, 27 ლარის ოდენობით, წარმოადგენს მოსაკრებლის დავალიანებას, რომელიც ანაზღაურდა შემდგომ პერიოდში და რომელიც ასახულია ბალანსის დანართი N1-ის 3244 ანგარიშზე.

- „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გაწეულმა საკასომ და შესაბამისად, დარიცხვამ შეადგინა 58,999 ლარი.

რაც შეეხება ბალანსის დანართი N1-ის 1422 ანგარიშზე ასახულ თანხას - 47,600 ლარს, აღნიშნული წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში არსებულ შენობა-ნაგებობებზე მიყენებულ ზარალს, ხოლო 1610 ანგარიშზე აისახა „სტრატეგიული მარაგებიდან“ 7,388 ლარის ხარჯი 1625 ანგარიშზე „ფულადი დოკუმენტების“ (10,080 და 684,128 ლარი) აღიარდა ხარჯში, სულ 694,208 ლარი.

1626 საბალანსო ანგარიშიდან - „სათადარიგო ნაწილები“, სულ 93,521 ლარის აღიარებული ხარჯიდან 87,869 გადავიდა საცნობარო მუხლის „04 ხარჯებში ჩამოწერილი მარაგების ექსპლუატაციაში“ - ანგარიშზე.

1627 საბალანსო ანგარიში „მატერიალური მარაგებიდან“ 764,399 ლარი და ანგარიში 2200 „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივიდან“ 678,840 ლარის გადატანა მოხდა საცნობარო მუხლი „10 ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ ანგარიშზე და აგრეთვე ჩავიდა „10“-ის ანგარიშზე 421,501 ლარი „04“ ანგარიშიდან, სულ (764,399+678,840+421,501) - 1,864,470 ლარი.

2121 საბალანსო ანგარიშიდან - 8200 ლარის და 2122 საბალანსო ანგარიშიდან - 8,979,548 ლარის, სულ 8,987,748 ლარის ამორტიზებული ძირითადი აქტივები, ისტორიული ღირებულებით გადავიდა საცნობარო მუხლის „08 ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე.

2112 საბალანსო ანგარიში - „არასაცხოვრებელი შენობებიდან“ 678,955 ლარის ქონება გადავიდა 2510 „საინვესტიციო ქონებად გამოყენებული შენობების ნაწილის“ ანგარიშზე.

3253 ანგარიშზე ასახული 1,854 ლარიდან - 1,634 ლარი არის 2004 წელს ხაზინის მიერ წლის ბოლოს დაუდასტურებელი შიდა მივლინების თანხა, რომელიც არის ვადაგადაცილებული დავალიანება, ხოლო 220 ლარი - 2017 წელს წარმოშობილი. 3210 ანგარიშზე არსებული დავალიანება - 13,210 ლარი, არის სხვადასხვა ორგანიზაციის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, რომელიც გაშიფრულია საბალანსო ფორმის N10 დანართში, რაც გამოწვეულია მათ მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის დაგვიანებით წარმოდგენით, რის გამოც მოხდა შემდგომ პერიოდში ანგარიშსწორება.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტიდან გაწეულ ფაქტობრივ და საკასო ხარჯებს, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საკასო ხარჯი:

ოფისის ხარჯი - 809,107.71 ლარი

რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 8,674.28 ლარი

ტრანსპორტის ხარჯი - 2,893,528.88 ლარი (მათ შორის: საწვავი - 1,835,643.23 ლარი; შეკეთება - 976,331.99 ლარი; სათადარიგო ნაწილები - 72,632.26 ლარი; სხვა - 8,921.40 ლარი)

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 202,636.11 ლარი

სხვა ხარჯები - 253,870.38 ლარი

არაფინანსური აქტივების ზრდა - 617,124.10 ლარი

ვალდებულების კლება - 171,657.54 ლარი.

დარიცხული ხარჯი:

ოფისის ხარჯი - 781,782.90 ლარი

ტრანსპორტის ხარჯი - 2,135,561.42 ლარი (მათ შორის: საწვავი - 1,154,510.23 ლარი; შეკეთება - 972,303.04 ლარი; სხვა - 8,748.15 ლარი)

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 203,011.11 ლარი

სხვა ხარჯები - 253,870.38 ლარი.

გრანტები:

მიმდინარე გრანტები სასაქონლო ფორმით - 994,429.74 ლარი

კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით - 597,200 ლარი.

დანართი N1. ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებსა და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

აქტივები	ნაშთი წლის ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისთვის
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	47,660	47,660
არაფინანსური აქტივები		
სტრატეგიული მარაგები	187,844	194,906
ფულადი დოკუმენტები	1,812	1,812
სათადარიგო ნაწილები	-	8,721
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	192,215	995,014
არასაცხოვრებელი შენობები	30,363,789	31,540,586
სატრანსპორტო საშუალებები	3,260,542	4,340,067
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3,837,210	4,277,034
კულტივირებული აქტივები	12,260	12,260
არამატერიალური ძირითადი აქტივები	1,768,805	2,064,798
ტექნიკა	17,982	216,384
ინვენტარი	2,322	337,237
მოწყობილობა	2,053	18,276
სხვა მცირეფასიანი აქტივები	9,294	92,043
მიწა	1,944,856	1,944,856
საინვესტიციო ქონებად გამოყენებული შენობები ან შენობის ნაწილი	678,955	-
ბალანსი	42,327,599	46,091,654
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული	13,210	-
ვალდებულებები		
გადასახდელი სხვა გადასახდელები	27	-
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1,854	1,634
წმინდა ღირებულება	42,312,508	46,090,020
ბალანსი	42,327,599	46,091,654
საცნობარო მუხლები		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	87,869	-
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	8,987,748	-
ვადაგადაცილებული დავალიანებები	15,091	1,634
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	1,864,836	421,501

დანართი N2. ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	ფაქტობრივი(საკასო)	დარიცხული
1. შემოსავლები	-	-	-	9,820	1,617,111
1.2 გრანტები	-	-	-		1,607,291
1.3 სხვა შემოსავლები	-	-	-	9,820	9,820
1.3.5 შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-	-	9,820	9,820
2. ხარჯები	18,555,000	18,015,000	18,013,828	17,587,012	22,813,892
2.1 შრომის ანაზღაურება	14,945,000	14,945,000	14,944,929	14,792,254	14,792,254
2.1.1 ხელფასები	14,945,000	14,945,000	14,944,929	14,792,254	14,792,254
2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	14,945,000	14,945,000	14,944,929	14,792,254	14,792,254
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	-	-	7,508,312	7,490,020	7,490,020
2.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	-	-	251,552	250,632	250,632
2.1.1.1.3 პრემია	-	-	2,309,262	2,189,797	2,189,797
2.1.1.1.4 დანამატი	-	-	4,418,755	4,418,684	4,418,684
2.1.1.1.6 კომპენსაცია	-	-	457,049	443,121	443,121
2.2 საქონელი და მომსახურება	2,562,000	2,162,000	2,160,902	1,888,435	4,347,476
2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	129,114	128,444	128,444
2.2.2 მივლინებები	-	-	64,271	60,030	60,250
2.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	791,718	712,050	2,358,585
2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	39,933	34,615	33,252
2.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	-	-	-	-	28,612
2.2.8 ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	-	-	777,649
2.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	-	-	-	-	7,388
2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	1,135,865	953,296	953,296
2.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	2,544,623
2.6 გრანტები	-	-	-	-	223,188
2.6.3 გრანტები სხვა სახელმწიფო ერთეულებს	-	-	-	-	223,188
2.6.3.1 მიმდინარე	-	-	-	-	16
2.6.3.2 კაპიტალური	-	-	-	-	223,172
2.7 სოციალური უზრუნველყოფა	82,000	59,000	59,000	58,999	58,999
2.7.3 დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	82,000	59,000	59,000	58,999	58,999
2.7.3.1 ფულადი ფორმით	82,000	59,000	59,000	58,999	58,999
2.8 სხვა ხარჯები	966,000	849,000	848,997	847,325	847,352
2.8.2 სხვადასხვა ხარჯები	966,000	849,000	848,997	847,325	847,352
2.8.2.1 მიმდინარე	966,000	849,000	848,997	847,325	847,352

დანართი N5. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება			გასვლა				ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
		შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	არასაკონკრეტო შემოსავლებით	გრანტებით	არასაკონკრეტო ხარჯები	გრანტებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	
1. მატერიალური მარაგები	1,200,453	25,283	-	948,189	-	-	-	1,792,054	381,871
1.1. სტრატეგიული მარაგები	194,906	-	-	326	-	-	-	7,388	187,844
1.2. სხვა მატერიალური მარაგები	1,005,547	25,283	-	947,863	-	-	-	1,784,666	194,027
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	1,812	-	-	694,208	-	-	-	694,208	1,812
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	8,721	-	-	84,800	-	-	-	93,521	-
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	995,014	25,283	-	168,855	-	-	-	993,937	192,215
2. ძირითადი აქტივები	42,234,745	-	18,092	612,535	862,142	223,173	2,537,451	-	39,242,606
2.1 შენობა-ნაგებობები	31,540,586	-	-	11,539	850,770	-	337,566	-	30,363,789
2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31,540,586	-	-	11,539	850,770	-	337,566	-	30,363,789
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	8,617,101	-	18,092	600,996	11,372	223,173	1,903,892	-	7,097,752
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	4,340,067	-	18,092	308,244	11,142	206,929	1,187,790	-	3,260,542
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	4,277,034	-	-	292,752	230	16,244	716,102	-	3,837,210
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	2,077,058	-	-	-	-	-	295,993	-	1,781,065
2.3.1 კულტივირებული აქტივები	12,260	-	-	-	-	-	-	-	12,260
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	2,064,798	-	-	-	-	-	295,993	-	1,768,805
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	663,940	-	-	46,567	-	16	-	678,840	31,651
5. არაწარმოებული აქტივები	1,944,856	-	-	-	-	-	-	-	1,944,856
5.1 მიწა	1,944,856	-	-	-	-	-	-	-	1,944,856
6. საინვესტიციო ქონება	-	-	686,127	-	-	-	7,172	-	678,955
6.1 საინვესტიციო ქონებად გამოყენებული შენობები ან შენობის ნაწილი	-	-	686,127	-	-	-	7,172	-	678,955

დანართი N8. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში ბოლოს		საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული დარიცხული ხარჯი			
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ: მათ შორის	276	4,340,067	269	3,260,542	-	-	-	-	-	-	684,128	93,521
მსუბუქი	184	1,854,282	178	1,618,100	-	-	-	-	-	-	374,298	42,380
„ჯიპები“ და „პიკაპები“	82	2,299,072	83	1,518,157	-	-	-	-	-	-	200,318	42,844
სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებები	4	41,817	4	32,233	-	-	-	-	-	-	47,206	580
სატვირთო	6	144,896	4	92,052	-	-	-	-	-	-	62,306	7,717

დანართი N9. ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული დებიტორულ დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2017-ისთვის	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით
	სულ	2008
ს უ ლ:	47,660	47,660
გადასახდელები (წინასწარ, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)	47,660	47,660
მათ შორის: სხვა მოთხოვნები (გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლებისა)	47,660	47,660
დანაკლისი	47,660	47,660

დანართი N10. ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2017-ისთვის	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით	
	სულ	1996-2005 წლები	2017 წელი
ს უ ლ:	15,091	1,634	13,457
გადასახდელები	15,091	1,634	13,457
საქონელი და მომსახურება	15,064	1,634	13,430
მივლინებები	1,854	1,634	220
ოფისის ხარჯები	13,210	-	13,210
სხვა ხარჯები	27	-	27
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	27	-	27

დანართი N11. ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

N	ორგანიზაციის დასახელება	დებიტი თანხა	წარმოშობის საფუძველი	წარმ. თარიღი
1	საგამოძიებო სამსახური	47,660	დანაკლისი	2008

დანართი N12. ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

N	ორგანიზაციის დასახელება	კრედიტი თანხა	წარმ თარიღი
1	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	2,832	2017
2	ენერგო პრო-ჯორჯია	6,694	2017
3	სახელისუფლო სპეცკავშირები	129	2017
4	შპს „სოკარჯორჯიაგაზი“	3,060	2017
5	საქ. გაერთ. წყალმომარაგების კომპანია (სამეგრელო)	71	2017
6	საქ. გაერთ. წყალმომარაგების კომპანია (კახეთი)	56	-
7	საქ. გაერთ. წყალმომარაგების კომპანია (სამცხე-ჯავახეთი)	143	2017
8	საქ. გაერთ. წყალმომარაგების კომპანია (იმერეთი)	100	2017
9	საქ. გაერთ. წყალმომარაგების კომპანია (შიდა ქართლი)	125	2017
10	მოსაკრებელი დასუფთავების	27	2017
11	გაუცემელი სამივლინებო	1,634	2004
12	გაუცემელი სამივლინებო	220	2017
ჯამი:		15,091	-

დანართი N13. ორგანიზაციის აქტივების/მომსახურების უსასყიდლოდ მიღების/გადაცემის შესახებ

N	ოპერაციის შინაარსი	გასცა (სახ. ერთეული/სტრუქტურული ქვედანაყოფი)	მიიღო (სახ. ერთეული/სტრუქტურული ქვედანაყოფი)	საბალანსო (ნარჩენი) ღირებულება (ლარ)	ბუღალტრული ანგარიში	
	აქტივი				დებიტი	კრედიტი
1	გრძელვადიანი	მთავარი პროკურატურა		16		2200
2	გრძელვადიანი		ფინანსთა სამინისტრო	46,567	2200	
3	მანქანა-დანადგარი	მთავარი პროკურატურა		16,244		2122
4	მანქანა-დანადგარი		ფინანსთა სამინისტრო	277,417	2122	
5	მანქანა-დანადგარი		მომსახურების სააგენტო	15,335	2122	
6	ავტომანქანა	ფინანსთა სამინისტრო		120,901		2121
7	ავტომანქანა		ფინანსთა სამინისტრო	308,244	2121	
8	ავტომანქანა	მთავარი პროკურატურა		68,082		2121
9	ავტომანქანა	შემოსავლების სამსახური		17,946		2121
10	შენობა - ნაგებობა		ფინანსთა სამინისტრო	11,539	2112	
11	მატერიალური მარაგები		ფინანსთა სამინისტრო	947,863	1600	
12	მატერიალური მარაგები		მომსახურების სააგენტო	326	1610	

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE